

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1961 წლის 2 თებერვალს საქართველოს ერთ-ერთ ლამაზ და მრავალფეროვან კუთხეში ქიზიყში, დედოფლისწყაროში, სადაც ბავშვობა 13 წლის ასაკამდე გავატარე. შემდეგ მთელი ჩემი ცხოვრება დედაქალაქს დაუკავშირდა. სკოლაში სწავლის პერიოდში დავინტერესდი სამართლის საკითხებით და პარალელურად ვსწავლობდი მოსწავლეთა სასახლეში (მამინდელი პიონერთა სასახლე) სამართალმცოდნეობის წრეში, სადაც ვიმუშავე სხვადასხვა თემებზე. 1978 წელს დავამთავრე თბილისის 142-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს დავინწყე მუშაობა. ტრესტ „საქნავთი“-ს გეოლოგიური-სამძებრო სამსახურის #2 სტრუქტურულ საძიებო პარტიაში დამხმარე მუშად.

1980 წლის სექტემბრიდან გადავედი სამუშაოდ ტრესტი „საქტელეფონმშენი“-ს თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში, სადაც თავდაპირველად მონათვის პოზიცია დავიკავე. კავშირგაბმულობის საქმის კარგად შესწავლის მიზნით 1981 წელს დავინწყე სწავლა თბილისის #65-ე ტექნიკურ სასწავლებელში ატს-ის მონტიორის სპეციალობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის მონდობილი სამუშაოს კვალიფიციურად შესრულების გამო პროფესიულად გაზრდა გადავწყვიტე, არ შემინწყვეტია მუშაობა ჩემი დასახული მიზნის მისაღწევად და ვაგრძელებდი სწავლას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

1982 წელს ჩავირიცხე უნივერსიტეტში (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დამავთავრე 1987 წელს. იმავე წელს დავინწყე მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში (ამჟამად ეს სტრუქტურა აღარ არსებობს) იურისტის პოზიციაზე, სადაც ვმუშაობდი 1994 წლამდე. ბედის მადლობელი ვარ, რომ ამ დანესებულებაში მომიწია პრაქტიკული ნაბიჯების აღება, რადგან რკინიგზას ჰქონდა უამრავი სამართლებრივი თემები, რომლებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი, კერძოდ მიწვედა მისი საბინაო ფონდის, შრომითი საკითხების და სხვა თემატურ კომისიებში მონაწილეობის მიღება და პრობლემური საკითხების გადაწყვეტა. ვახორციელებდი მის წარმომადგენლობას სისხლისა თუ სამოქალაქო საქმეებზე და შესაბამისად გამოვდიოდი სასამართლო და სარბიტრაჟო სხდომებზე, რამაც ძალიან კარგი პრაქტიკული გამოცდილება შემძინა.

მას შემდეგ, რაც ქვეყანაში დამოუკიდებლობა გამოცხადდა რკინიგზის ამიერკავკასიის სამმართველოს არსებობას აზრი დაეკარგა და დაიწყო თბილისის განყოფილების ლიკვიდაციის პროცესი. ამის გამო თანამდებობა, რომელსაც ვიკავებდი შემცირებული

იქნა, ამიტომ 1994 წელს გავწევრიანდი საქართველოს ადვოკატთა კოლეგიაში და მუშაობა დაავიწყე ნაძალადევის რაიონის ადვოკატურაში ადვოკატად.

1996 წელს საქართველოში დაიწყო სასამართლო რეფორმაზე მუშაობა, რამაც ახალი მოტივაცია გამიჩინა. ყოველთვის ვიყავი იქ, სადაც ჩემი ქვეყნისთვის საჭირო იყო ჩემი პიროვნული რესურსი, ამიტომ აქტიურად ვადევნები თვალს ახალი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონპროექტებს და ვისმენდი პროექტებზე მომუშავე კომისიის წევრების ლექციებს.

1998 წელს დავრეგისტრირდი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (მაშინდელი იუსტიციის საბჭო) მიერ გამოცხადებულ გამოცდაზე და წარმატებით ჩავაბარე, რის შემდეგაც 1999 წლის ივნისში დავინიშნე თბილისის საოლქო სასამართლოში სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

სამწუხაროდ, 2005 წელს გამოცხადდა ამ სასამართლოს ლიკვიდაცია, რის გამოც ჩავირიცხე მოსამართლეთა რეზერვში, რომლიდანაც 2009 წელს ვადის გასვლის გამო ამოვირიცხე.

2009 წელსვე გავწევრიანდი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ადვოკატად, სადაც დღემდე ვავრძელებ მუშაობას.

ვიმედოვნებ ისევ მომეცემა შესაძლებლობა ის ცოდნა და უნარები, რომელიც შევიძინე როგორც იურისტმა მოვახმარო იმ ქვეყნის ინტერესებს, რომელმაც მომცა განათლება, გამზარდა მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლედ და მაღალი შეგნების მოქალაქედ და მასწავლა, რომ ქვეყანა თითოეული მოქალაქის გაძლიერებით და ყველას საერთო საქმეში თანამონაწილეობით ძლიერდება.



მარინა ჯიყაშვილი